# სახალხო გაზეთი

№ 834 პარასკევი, 1 მარტი 1913 წ. № 834

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში — მორსკაია 11, ვარშავაში — მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში — ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



**სახალხო გაზეთი** ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

**სურათებიანი დამატება**

(კვირაობით)

**პრემიად** 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა — **კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.

2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წლიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარეთ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

**ათი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ. ნაწილობით**

**მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გ მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) **„სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში,** (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).

2) **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,**

3) **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.

**სარატოვის მექარხნენი სავაჭრო სახლი**

**„ე. ე. მაიერ“**

**ერევნის მოედ. „კავკაზის“ სასტუმროს ქვეშ.**

ვაუწყებთ პატივცემულ ჩვენს მუშტრებს, რომ შობის დღესასწაულების მსგავსად, ჩვენის მთავარ გამგეობის ნებართვით, კვლავ ვნიშნავთ

**საგანგებო იაფ-ვაჭრობას ექვსის დღით**

ე. ი. ამ წლის 27, 28 თებერ. 1, 2, 4, 5 და 6 მარტს, ნამდვილ ფასებიდან 20%—40% დაკლებით, სახელდობრ:

| | | | |
|---|---|---|---|
| აბრეშუმეულის სარპინკაზე ვაკლებთ | 30 % | ბამბაზიაზე | 30 „ |
| 20 გოჯ ზეფირზე | 40 „ | ფუფაიკებზე | 30 „ |
| აბრეშუმისაზე | 30 „ | მაუდის საქონელზე | 20 „ |
| შალეულობის ქსოვილებზე | 30 „ | აბრეშუმის შარფებზე ქალებ. | 30 „ |
| ჩულქებსა და წინდებზე | 25 „ | პლუშის საბნებსა და სუფრებზე | 30 „ |
| თეთრეულსა და საყელოებზე | 30 „ | საფარდე ტიულზე | 30 „ |
| სხვა და სხვა ტილოზე | 20 „ | ქუთაისის ჩეჩუჩაზე | 20 „ |
| ბამბაზიის ქსოვილებზე | 30 „ | შეკერილ კაბებზე ქალთათ. | 25 „ |

ვიმედოვნებთ, რომ პატივცემული საზოგადოება პატივსა გვცემს და ჩვენს მაღაზიას ესტუმრება.

**პატივისცემით სავაჭრო სახლი „ე. ე. მაიერ“** 1077

**საგურთალოზე**

**მშვენიერ ალაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

**ექიმი** შ. ა. **მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

ტფილისის ქალაქ ს

**გამგეობა**

აცნობებს ქალაქის საბჭოს წევრებსა და ტფილისის მოსახლეობას, რომ **დღეს, 1 მარტს,** ნაშუადღევის 2-ნახევარ საათზე,

**ქალაქის საბჭოს დარბაზში, დანიშნულია სავედრებელი პარაკლისი მის ბრწყინვალების, კავკასიაში მეფის მოადგილე გენერალ-ადიუტანტის გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის სადღეგრძელოდ.** 1081

ამით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ **ცნობილი**

**პასხალიდის**

**აბრეშუმის თესლი**

ჩვეულებისამებრ **იყიდება მ. გ. რუსიძის კანტორაში ბათუმში,** მარინსკი პროსპექტზე, საკუთარ სახლში № 10.

**სამუდამო და მეურნეველი გადაწყვეტილება:** თესლს რაც უფრო ადრე დაიბარებენ მყიდველები, იმდენ და უფრო იაფად შეიძენენ, რაც გვიან, იმდენად ფასი მატულობს. **პასხალიდის თესლის მუდმივ მყიდველებს კ ნტორა** ამით მოაგონებს, რომ თესლი დროიანად დაკვეთონ, ვინაიდან, როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, ბალკანეთის ომის გამო, წელს თესლების გამსვლელი გზა დაკეტილია (მხოლოდ მცირედენმა გამოასწრო გზის დაკეტვას), რის გამოც მოსალოდნელია, ბევრი მეაბრეშუმე დარჩეს უთესლოთ.

ტფილისისა, ქუთაისისა და ბათუმის გუბერნიების ერთად-ერთი წარმომადგენელი პასხალიდის აბრეშუმის თესლისა მ. გ. რუსიძე. 1079

**გამოსულია და იყიდება**

**ი. გედევანიშვილის** პიესა

**„მამცემი“**

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

**გამოსულია და იყიდება**

**ნ. შიუკაშვილის**

პიესა **„მემოგრობა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.**

ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

**„ნაკადულ“-ზე.**

**წელიწადი მეცხრე.**

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ორი გამოცემა:**

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი

მოზრდილთათვის . . 12 წიგნი

ღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარეთ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **საჩუქრად ამერიკელ მწერალ ქალის პარიეტ ბიჩარ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან „ბიძია თომას ქოხი“,** სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 40-ზე მეტი სურათი და ჩართული ექნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია. თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა **ილია ნაკაშიძემ.** ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვან და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად. **ხელის მოწერა** შეიძლება **ტფილისში** — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინის პრ. 8, და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **თ-დ პავლე თუმანიშვილი.**

**პარასკევს, 1 მარტს, საღამოს რვა საათზე, ტფილისის თ.-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს ბინაზე,** ბელინსკის ქუჩაზე, სახლში № 2, მოხდება

**ჩვეულებრივი კრება**

**ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების წევრებისა.** კრებაზე წევრი საზოგადოებისა **ბ დავით კასრაძე** წაიკითხავს მოხსენებას **მშვენიერებაზე ხელოვნებაში.** 1012.

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ქლექისა,** იღებს შინაგან სნე. ქლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინითა, როდის** პრეპარატებით და **პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5-8 საათ. ადრესი: **ხოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე). **ტელეფ.** 7-82. 97.

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ხსნიის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

წოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ დროს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მანსვეტაშვილი გ. ნ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგიული სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.)<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირალიშვილი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.<br>**ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11½ 12½. |
| ქალთა და საშოსნო სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალიშვილისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**თიკანაძე ა. ე.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ხულპკოვი ა ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.<br>**დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყელ. ყურ. და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½<br>**ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ „914“ და **წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ.,** მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

**ვაკზლის კერძო სამკურნალო**

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ხ. გაზაძე.** ყოველ დღე. შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**ექ. ქალი იოსელიანისა** — იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშ. ბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

**ვორობიევი.** შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

**ნ მ. მელიქიშვილი** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ივ. გომართელი.** — ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასიარჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606“** 1053

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა და გადაღებ.** რენტგენის სხივებით. ვერა, ყოროღანოვის ქ. № 20. წ. 1082

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **გახსნერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ.** ქ. № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ 102

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა. № 3. ს. ყარაშვილისა.

**ექიმი ალ. ხოლოდაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

**შორაპნის მაზრის**

(ქუთაისის გუბერნია)

**შავი-ქვის მრეწველთა კრების**

**საბჭო**

ამით აცხადებს, რომ 1913 წ. 3 მარტს, შუადღის 12 ს.-ზე, დაბა **ჭიათურაში საჯარო ვაჭრობით**

**იჯარით გაიცემა:**

1) მრეწველთა საბჭოს მიწაზე აგებულ და მის კუთვნილ საავადმყოფოს შენობაზე **ზედა სართულის დადგმა,** სამუშაო 20,000 მანეთისაა.

2) იქვე **ორ-სართულიან სახლის აგება** მკურნალთათვის. ნავარაუდევია 10,000 მან.

ხარჯთ-აღრიცხვისა, გეგმისა და აგრეთვე ტეხნიკურ, თუ სხვა საზოგადო პირობების გაგება შეიძლება დაბა ჭიათურაში, საბჭოს სატეხნიკო კანტორაში, ყოველ დღე, **დილის 11—2 საათამდე.** მსურველებს გაეგზავნებათ ბლანკები სამუშაოთა რაოდენობის მუხლობრივის აღნიშვნით. ფასები უნდა განაცხადონ წერილობით, დაბეჭდილ კონვერტში და აგრეთვე **ზედ** უნდა წარმოადგინონ მთელი საიჯარო თანხის ათი პროცენტი.

სავალდებულო არ არის ორთავე შენობის ერთად აღება იჯარით. 1062

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

**ექიმი ე. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლ. ულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ქლექ. და დამპალი ციებ. პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071


## ტფილისი, 1 მარტი.

**ქალაქის თვითმმართველობა და ბოროტ-მოქმედებანი.**

ტფილისის ქალაქის თვითმმართველობაში რაღაცა ამბები ჰხდება. გაზეთებში ჯერ არ დასრულებულა ახალ სასალახოს გარშემო ატეხილი დავა და უკვე მეორე ბოროტ-მოქმედებაზე დაიწყეს ლაპარაკი. გუშინდელ ჩვენს გაზეთში მოკლედ იყო აღნიშნული, ქალაქის გამგეობის სამიწისმზომელო განყოფილებაში ბოროტ-მოქმედება აღმოუჩენიათო. ამ ბოროტ-მოქმედებათა ხასიათის შესახებ რუსული გაზეთები დაწვრილებითი ცნობებს გვაწვდიან. ბოროტ-მოქმედება აღმოუჩენია ქალაქის მთავარ კანტროლიორს დავითიანცს. ერთს პირს, რომელსაც თვითმმართველობაში დიდი ადგილი უჭირავს, სისტემატიურად ულია ქრთამები მოსამსახურეთაგან, ყოველთვიურად უძლევია ჯამაგირი თავის შვილისთვის, რომელსაც არავითარი კავშირი არა ჰქონია ქალაქის თვითმმართველობასთან. ერთ და იგივე საგნის ფასი ორჯელ გაუტარებია ანგარიშებში და მრავალი სხვა ამისთანები. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ თურმე ქალაქის გამგეობას დიდიხანია სცოდნია ეს ბოროტ-მოქმედებანი, მაგრამ რაღაცა მიზეზების გამო

უხერხულად უცვნია მათი გამომჟღავნება.

ეს უკანასკნელი მოვლენა ფრიად დამახასიათებელია და ამასთანავე სამწუხაროა. ბოროტ-მოქმედება ყველგან შეიძლება მოხდეს. ავი კაცი არ დაილევა. ქალაქის თვითმმართველობას ვერ ვუსაყვედურებთ, თქვენს მოსამსახურეთა შორის ბოროტ-მოქმედი რად აღმოჩნდაო. სამწუხარო მარტო ეს კი არ არის, სამწუხარო ის არის, რომ, როგორცა სჩანს, გამგეობა ხშირად ხელს აფარებს ბოროტ-მოქმედებას და სცდილობს შინაურულად მოაწესრიგოს ხოლმე საქმეები. ბოროტება სწორედ აი ამ შინაურულ საქმიანობაშია.

ქალაქის თვითმმართველობა, უხეირო საარჩევნო კანონის წყალობით, სოლოლაკელთა საგვარეულო საკუთრებად გადაიქცა. წლიდან წლამდე ერთი და იგივე ხმოსნები არიან, ერთი და იგივე ჯგუფი აძლევს მიმართულებას თვითმმართველობის საქმეებს. ქალაქის თვით-მმართველობა განსაზღვრულ, თავის ვიწრო ჩარჩოებში მოქცეულ ჯგუფის სამოქმედო ასპარეზად გადაიქცა. სოლოლაკელებიც შეეჩვივნენ ასეთ მდგომარეობას. მათს წარმოდგენაში ქალაქის თვითმმართველობა საკუთარ გაფართოვებულ ოჯახად გადაიქცა.

გაიბა ხლართი ნათესავურ კავშირისა, დამკვიდრდა შინაურული, ინტიმური ურთიერთობა ხმოსანთა და მოსამსახურეთა შორის. ერთის სიტყვით, ქალაქის თვითმმართველობამ დიდი ხანია თავისი ფართო საზოგადოებრივი ხასიათი დაჰკარგა და სოლოლაკელ ბურჟუაზიის მეწველ ფურად გადაიქცა. ამისთანა პირობებში ადვილი წარმოსადგენია როგორც ბოროტ-მოქმედებათა გაძლიერება, ისე მრავალი სხვა არა საკადრისი საქციელი.

ქალაქის თვითმმართველობა სრული ზნეობრივი გაკოტრებისაგან მხოლოდ ახალ, ჯანსაღ ელემენტს შეუძლიან იხსნას. ისინი, ვისაც ხმოსნობაცა და გავლენაც ქალაქის საქმეებზე მემკვიდრეობითი რჩება, უძლურნი არიან განახლება შეიტანონ ქალაქის საქმეებში და ცხოველმყოფელი სული ჩაჰბერონ. მხოლოდ ახალი ელემენტის ჩარევას შეუძლიან საქმის გამობრუნება. ამისთვის კი საჭიროა საარჩევნო კანონის რეფორმა. დიდი ხანია საერობო და საქალაქო დებულებათა რეფორმა მორიგ საკითხადაა გადაქცეული რუსეთში. როდესაც საქალაქო საარჩევნო სისტემა შეიცვლება და დღეს ქალაქის საქმეებს ჩამოშორებული ელემენტი დაუახლოვდება, მაშინ შინაურული, საოჯახო სისტემა ქალაქის მართვა-გამგეობისა ისეთ ზომამდე ველარ მივა, სადამდისაც დღეს მივიდა.

# სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერ. სააგენტოა)

**27 თებერვლის სხდომა.**

**როძიანკო** თავმჯდომარეობს.

თავმჯდომარემ წინადადება მისცა სათათბიროს ფეხდგომილად მოისმინონ უმაღლესი სიტყვები. ყველანი დგებიან. თავმჯდომარემ გადასცა სათათბიროს ხელმწიფე იმპერატორის მადლობა რომანოვთა დღესასწაულის გამო უქვეშევრდომილეს გრძნობების გამოცხადებისთვის. სათათბირო მეფის სიტყვებს „ვაშას“ ძახილით მიეგება. შემდეგ თავმჯდომარემ მოახსენა სათათბიროს ბულგარეთის, საბერძნეთის და სერბიის პარლამენტის მილოცვები რომანოვთა საგვარეულოს დღესასწაულის გამო, რასაც სათათბირო „ვაშას“ ძახილით მიეგება. სათათბირომ მიანდო თავმჯდომარეს შესაფერი პასუხი გაუგზავნოს მილოცვისთვის.

**თავ. ურუსოვი** თავმჯდომარეობს.

უკამათოდ მიიღეს ოთხი კანონ-პროექტი, რის შემდეგაც სათათბირო შეუდგა კანონ-პროექტის მესამედ განხილვას ჩამორთმეულ უფლებათა აღდგენის თაობაზე.

**ბენიგსენი** წინადადებას იძლევა უარჰყონ იუსტიციის მინისტრის შესწორება, რაც აქარწყლებს სათათბიროს დადგენილებას, დასჯილის სასამართლოში აუცილებელ გამოცხადებისა და დამცველთა მონაწილეობის თაობაზე, სასამართლოს თადარიგის მიმცემ სხდომებზე.

იუსტიციის სამინისტროს პირველ დეპარტამენტის **დირექტორი** მოითხოვს მინისტრის შესწორების მიღებას.

**აჯემოვი** უადგილოდ სთვლის დასჯილის შეზღუდვას თვის უფლებათა დაცვაში. სათათბირომ თვისი აზრი უნდა შეინარჩუნოსო.

მინისტრის შესწორება უარჰყვეს 152 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 140-სა. კანონ-პროექტი მეორე განხილვის რედაქციით მიიღეს.

სათათბირო შეუდგა იმის მსჯელობას, სასურველია თუ არა **კავშირთა თავისუფლების საკანონმდებლო მოსაზრება.**

**თავმჯდომარე** მოახსენებს სათათბიროს შინაგან საქმეთა მინისტრის წერილობითს განცხადებას, რომ მთავრობა მუშაობს კავშირების ახალ კანონზე და შესაფერ დროს სათათბიროს წარუდგენს კანონ-პროექტსო.

**შჩეპკინი.** მთავრობაც აღიარებს ეხლანდელ კანონის უვარგისობას. კავშირების კანონის უქონლობა ხელს უწყობს საზოგადოებრივ განხეთქილებას, ხელს უშლის კეთილად მოაზროვნე მოქალაქეთ შეერთდნენ კულტურულ-ეკონომიურ მიზნის მისაღწევად და მავნე ელემენტებს კი საშუალებას აძლევს უკანონოდ შეერთდნენ; ისინი სარგებლობენ მთავრობის და ერის შუღლით. სათათბირომ ეს მოსაზრება სასურველად უნდა სცნოს და დაამტკიცოს, რომ იგი პოლიტიკურის შეგნებით უახლოვდება ერის ნამდვილს მოთხოვნილებებს.

**ჩხეიძე.** სოციალ-დემოკრატები არ არიან პასუხისმგებელ ოპოზიციის რწმენის მოზიარენი, რომ სათათბიროს უმრავლესობას შეეძლოს შემოქმედებითი მუშაობა. ახლო წარსულის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ თავისუფლებათა განხორციელება არ არის დამოკიდებული არც მთავრობისა და არც სათათბიროს კეთილ სურვილზე; იგი სავსებით არის დამოკიდებულ საზოგადოებრივ დარაზმულ ძალთა იერიშზე (ტაში მარცხნივ).

**ანტონოვი** წინადადებას იძლევა სათათბირომ სასურველად სცნოს მოსაზრება და განსახილველად კომისიას გადასცეს.

ანტონოვის წინადადება სათათბირომ მიიღო.

სათათბირო იხილავს საკანონმდებლო **მოსაზრებას კრებების თავისუფლებაზე.**

**თავმჯდომარე** უცხადებს სათათბიროს შინაგან საქმეთა მინისტრის წერილობითი მოხსენებას, რომ მთავრობა შეუძლებლად სცნობს შეიმუშავოს კანონ-პროექტი საკანონმდებლო მოსაზრებაში აღნიშნულ საფუძველთა მიხედვით.

**ივანოვი.** 4 მარტის კანონი პრაქტიკაში გადაიქცა კანონად კრებების გამართვის აკრძალვისა და დევნისა. მოლაპარაკეს ამის დასამტკიცებლად ბევრი მაგალითი მოჰყავს. ტყუილად გვეშინიან კრებების თავისუფლებისა: ძალადობა და არეულობა მოსდევს ხოლმე რუს ხალხის კრებებს, როგორც ეს ებრაელთა აწიოკებაში სჩანს (ხმაურობა მარჯვნივ: ყვირილი: „სისულელეა!“).

**ზამისლოვსკი** (ადგილიდან). სცრუობთ!

**თავმჯდომარე.** უმორჩილესად გთხოვთ ეგრე ნუ ჰლაპარაკობთ, რადგანაც მაგისთანა შედეგს ადგილი არა ჰქონია.

**ივანოვი.** მიეცით ხალხს შეძლება თვისი აზრი გამოსთქვან.

**ერნი.** საანბანო ჭეშმარიტებაა კრებათა თავისუფლების კანონის საჭიროება. საჭიროა მოსაზრება ეხლავე დაუყოვნებლივ იყოს სასურველად ცნობილი, კომისიაში გადაუცემლად.

**ზამისლოვსკი.** მართალია არსებული კანონი სრული არ არის, მაგრამ მემარჯვენეებს შეუწყნარებლად მიაჩნიათ ამ მოსაზრების მთავარ დებულების მიღება. გარდა ამისა მოსაზრება იურიდიულ ცოდნასაც მოკლებულია (მარჯვნივ ტაში).

სათათბირომ მოსაზრება სასურველად იცნო და განსახილველად კომისიას გადასცა.

სათათბირო იხილავს კადეტების საკანონმდებლო მოსაზრებას სათათბიროში **არჩევნების დებულებების შეცვლის თაობაზე.**

**თავმჯდომარე** მოახსენებს მთავრობის განცხადებას, რომ იგი ვერ იკისრებს კანონ-პროექტის შემუშავებას მოსაზრების მთავარ დებულებების მიხედვით, რადგანაც კადეტების მოსაზრება არსებითად ეწინააღმდეგება არსებულ კანონს.

**მილიუკოვი.** ყველა ჰგრძნობს, რომ არსებული საარჩევნო კანონის შეცვლა აუცილებელია; დიდი დანაშაულობაა ამ საკითხის თაობაზე დუმილი. სათათბირო ხალხში ნდობასა ჰკარგავს. მისი აღდგენა მხოლოდ საარჩევნო კანონის შეცვლით შეიძლება. საყოველთაო საარჩევნო უფლებას გვერდს ვერ აუხვევთ; ამისთვის უკეთესი იქნება ადრევ მიეცეს ხალხს იგი. უვიცობა არ შეიძლება შეფერხებად ჩაითვალოს, რადგანაც უვიცობა გაუგებრობა როდია! რუს გლეხობას ყოველთვის შეუძლიან თვისი ინტერესები შეიგნოს. აღარ არის ისეთი დამოუკიდებელი ელემენტი, როგორიც გლეხობაა. საყოველთაო საარჩევნო უფლებით დეპუტატებად თვალსაჩინო ნიჭით აღჭურვილი ხალხი გადის. საყოველთაო საარჩევნო უფლება უნდა არსებობდეს იქ, საცა არსებობს საყოველთაო საჯარო ბეგარა. იგი მოხსენებულია 17 ოქტომბრის მანიფესტში; ამისთვის არ შეიძლება ლაპარაკი მანიფესტის განხორციელებაზე, თუ საყოველთაო საარჩევნო უფლებას არ განვახორციელებთ. ლოდინი შეუძლებელია, თქვენი დაგვიანება დაემსგავსება რუსეთის აბსოლიუტიზმის დაგვიანებას 17 ოქტომბრის წინაშე. დემოკრატიის მოთხოვნილებანი უფრო გაძლიერდება და ენერგიული შეიქნება. დამშვიდების პერიოდის შემდეგ სცენაზე ძალდატანებითი და ბრძოლის საშუალებანი გამოჩნდება. მაშინ თქვენ დაიწყებთ ფიქრს, როგორც ფიქრობდა მინისტრთა საბჭო, რომ გვიანის გადასარჩენად საჭიროა უკანასკნელს მივმართოთო. (მარჯვნივ ძლიერი პროტესტი ისმის; ხმები: „გაეთრიე“! ხმაურობა).

**თავმჯდომარე** რამდენჯერმე აჩერებდა მოლაპარაკეს და ბოლოს სიტყვა წაართვა.

**სათათბიროს სხდომა შესწყდა.**

სხდომის განახლებისას **პურიშკევიჩმა** განაცხადა: მილიუკოვის სიტყვის დროს მომხდარმა ინცინდენტმა წაართვა წევრებს ხალისი და სურვილი სხვა-და-სხვა საკითხზე მსჯელობისა. საჭიროა შესაფერი პასუხის მიცემა, თავაზიანის კილოთი განცხადება პროტესტისა იმ ორატორისთვის, ვინც ნებას აძლევს თავს სათათბიროს ტრიბუნიდან უკადრისად მოიხსენიოს უმაღლესი მთავრობა (ხმაურობა, პროტესტი მარცხნივ: „ტყუილია“!)

**პურიშკევიჩი.** საჭიროა წინა საკითხის განხილვა გაგრძელდეს, რათა მილიუკოვს თავისი მიუზღოთ და ბოლოს მოუღოთ ამგვარ საქციელს, რანიც სათათბიროს ღირსებას მიწასთან ასწორებსო. პურიშკევიჩის წინადადება ხმის უმეტესობით უარჰყვეს.

სათათბირო იხილავს მემარჯვენეთა სწრაფ შეკითხვას ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისადმი **ნავთის სამრეწველო სინდიკატის თაობაზე.**

**ხვოსტოვი** ითხოვს შეკითხვის სწრაფ განხილვას. მოლაპარაკე მოუწოდებს სათათბიროს შეერთდეს ამ საკითხში, რადგანაც ძალა ერთობაშია (სიცილი მარცხნივ. ტაში სხვა და სხვა ადგილზე).

**ბუბლიკოვი** შეკითხვის სწრაფი განხილვის წინააღმდეგია, რადგანაც იგი ფრიად რთულია, და მისი ყოველმხრივი და დინჯი განხილვაა საჭირო.

სწრაფი განხილვა სათათბირომ ერთხმად მიიღო. სათათბირო გადადის შეკითხვის არსებითი განხილვაზე.

**ტუტიანინი.** ვოლგაზე ყოველი საქმე ფერხდება, შეშის სიძვირის გამო. სიძვირის მოსპობა საშუალებას მოგვცემს ნავთიან ადგილების აღმოჩენისას.

კამათი შესწყვიტეს. სათათბირომ მიიღო შეკითხვა.

შემდეგი სხდომა 1 მარტს იქნება.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ დღეს, 1 მარტს, ალექსანდრე-ნეველის სამხედრო ტაძარში, ნაშუადღევის 1 საათზე, საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი გადაიხდის სავედრებელ პარაკლისს **მეფის მოადგილე გრაფ გენერალ-ადიუტანტ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის სადღეგრძელოდ.**

✦ დღეს, ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია **სავედრებელი პარაკლისი** მეფის მოადგილის სადღეგრძელოდ.

✦ **მეფის მოადგილე გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი** გუშინ, დილის 11 საათზე, საქართველოს ეგზარხოსმა ინოკენტიმ ინახულა.

✦ **პარაკლისები მეფის მოადგილის განკურნებისათვის.** გუშინ, ნაშუადღევის 1 საათზე, სიონის საკათედრო ტაძარში პარაკლისი გადაიხადეს მეფის მოადგილის გრაფ ი. ი. ვორონცოვ დაშკოვის განკურნებისათვის. პარაკლისი გადაიხადა საქართველოს ეგზარხოსმა ინოკენტმა გორის ეპისკოპოსის ანტონისა, ერევნის ეპისკოპოსის პიმენისა და ქალაქის უმაღლეს სამღვდელოების თანამწირველობით. პარაკლისს დაესწრნენ: მეფის მოადგილის სამხედრო თანაშემწე გენერალი ნ. პ. შატილოვი, მეფის მოადგილის საბჭოს წევრნი, გენერალიტეტი, აფიცრობა, თავადაზნაურობისა და ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელნი და მრავალი ხალხი.

✦ **პანაშვიდი იმპერატორ ალექსანდრე მეორის** სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება დღეს სიონის საკათედრო ტაძარში, ნაშუადღევის პირველ საათის ნახევარზე.

✦ გუშინ ქალაქის გამგეობამ სამადლობელი დეპეშა გაუგზავნა სახელმწიფო სათათბიროს წევრებს ნ. ჩხეიძესა და ბენიგსენს, რომელთაც მხარი დაუჭირეს იმ საკითხს, რომ ქალაქს ტფილისს პოლიციის შესანახად მხოლოდ 180,350 მან. გადახდეს. წინად ქალაქის 216,620 მან. იხდიდა ყოველ-წლიურად.

✦ **ბუნების მეტყველთა და ექიმთა მეცამეტე კრების** მომწყობმა ბიურომ 900 კაცმა განუცხადა სურვილი კრებაზე მოხსენების წაკითხვისა.

ბიუროს ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს ტფ. პირველ ხარისხოვან რესტორანების პატრონებთან, რათა უკანასკნელებმა კრების მონაწილე სადილები იაფად დაუთმონ.

✦ **მსახიობი ვალ. გუნია** უკვე განიკურნა ავადმყოფობისაგან და ამ დიდმარხვაში ქართულ წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებს.

✦ ხმოსანმა მ. ზ. ქანანოვმა ქალაქის გამგეობას მოხსენება წარუდგინა, რომლითაც აღნიშნავს ქალაქის **სასაფლაოების** თვალყურის დევნების საქმის მოწესრიგების საჭიროებას. გამგეობამ დაადგინა, მოხსენება ქალაქის საბჭოს წარუდგინოს განსახილველად.

✦ მესაქონლობის უფროსი სპეციალისტი ა. ა. ქალანთარი, რომელიც პეტერბურგში იყო სასოფლო სამეურნეო საქმის მცოდნეთა კრებაში მონაწილეობის მისაღებად, გუშინ ტფილისში დაბრუნდა. ბ-ნი ქალანთარი მოკლე ხანში კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში მოხსენებას წაიკითხავს კრების მუშაობის შესახებ.

✦ სომეხ-კათოლიკეთა ეკლესიის ადმინისტრაციამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა ეკლესიისათვის საქალაქო მიწა უსასყიდლოდ დაუთმოს. თვით ეკლესიის ასაშენებლად შეკრებილი ჰქონიათ 40,000 მ. გამგეობამ დაადგინა, შუამდგომლობა განსახილველად ქალაქის საბჭოს გადასცეს.

✦ ქართულ დრამატიულ საზოგადოების მიერ დაარსებულ **დრამატიულ კურსებს** ამ ჟამად რვა ლექტორი და მასწავლებელი ჰყავს: ბ-ნნი დუბროვსკი (დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია), გორგაძე (ქართული ენა), ნათაძე (მსოფლიო ისტორია), კაკაბაძე (საქართველოს ისტორია), წულუკიძე (ქართული ლიტერატურა), ოვერლო (პლასტიკა), ნიკოლაძე (ხატვა) და სულხანიშვილი (სოლფეჯიო და მუსიკის თეორია). ამას გარდა არიან: დირექტორად ვლ. ალექსი-მესხიშვილი (მიმიკა, გრიმი, დიქცია) და ინსპექტორად ვალ. გუნია (ქართულ თეატრის ისტორია). კურსებს 23 მუდმივი მსმენელი ჰყავს: 10 ქალი და 13 კაცი. ესწრებიან ქართველი მსახიობნიც.

✦ პოლიციამ შეიპყრო კონდოლელი დავით გრ. ალიკოვი და ტფ. მოქალაქე გრ. დარჩ. სადაგოვი, რომელთაც 24 თებერვალს სომეხთა სემინარიის მოსამსახურის მოკვლა ჰბრალდებათ. შეპყრობილნი დანაშაულობაში გამოტყდნენ.

✦ 23 თებერვალს შეიპყრეს სარქის ამბარცუმის ძე კოსტანდიანცი (19 წლისა), რომელმაც ტრამვაის ვაგონში გორის მაზრის მცხოვრებ მიხ. გიორ. მეკაშვილს ჯიბიდან ფული ამოაცალა.

✦ ტფილისში ჩამოვიდა **მიწად-მოქმედებისა და მიწად-მომწყობ[...] მთავარ-სამმართველოს** მოხელე

# ივერიის მონასტერი ათონზე

1.

ათონის ნახევარ-კუნძული (ბერძნულად „აგიოსოროს“) მდებარეობს მაკედონიაში, ევროპიულ ოსმალეთის საზღვრებზე. ამ ნახევარ-კუნძულს სიგრძე აქვს 15—20 ვერსი, ხოლო სიგანე—80. ქრისტეს შობამდე ამ ადგილს ერქვა **აპოლლონიადა.** აქ მოსახლეობდნენ კერპთ-თაყვანისმცემლები, რომელთაც აღემართნათ სადიდებლად სხვა-და-სხვა კერპები. როდესაც დიდებული რომის იმპერია დაეცა და ქვეყნად სახარების სწავლა გაისმა. ათონმაც ფერი იცვალა, აქაც შემოანათა ქრისტეს სწავლამ. გარდმოცემა გვიამბობს, რომ თვით ღვთის-მშობელმა მიაღებინა ქრისტიანობა აქაურ კერპთ-თაყვანის მცემლებსაო. მე-IV საუკუნეში ათონი ხდება ბერთა სამკვიდრებლად. მე-VII საუკუნეში იგი ბრწყინავს განდეგილთა გუნდით... ამ დროიდან იცნობს მას, მთელი კაცობრიობა.

მე-X საუკუნის დასაწყისში დედამიწის ყველა კუთხიდან მოეშურებოდნენ ქრისტიანი ბერები, რათა აქ დაემკვიდრათ სამუდამო განსასვენებელი, და ამ მყუდრო ალაგიდან, აღევლინათ მწირული ლოცვა შემოქმედისადმი.

სწორედ ამ დროს ათონის ხრიოკ და უდაბურს ადგილებზე შენდება 180 მონასტერი და განდეგილ ბერთა რამდენიმე ათასი სენაკი. მეთორმეტე საუკუნიდან მეთოთხმეტე საუკუნემდე, ათონი განათლების ცენტრად ითვლება. აქ მიიღო განათლება ჩვენმა ბუმბერაზმა მგოსანმა **შოთა რუსთაველმა,** და სხვა წარჩინებულ ქართველთა. ამ აკადემიის ნანგრევები ეხლაც სჩანს ივერიის მონასტრის ქვეით.

მე-XV საუკუნეში, ოსმალთა ხმლის ქვეშ დაეცა დიდებული საქრისტიანო სამეფო,—საბერძნეთი, ეს ბუმბერაზი მფარველი წვრილ ქრისტიან ერებისა. საბერძნეთის დაცემისთანავე დაეცა მისი ავტორიტეტიც. ქრისტიან საბერძნეთის მაგივრად, ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე აღმოცენდა **მაჰმადიანი ოსმალეთი,** და ათონიც მოემწყვდია ამ სამეფოში.

2.

ათონის მთაზე არსებობს ყველა ქრისტიან ერთა ეკლესია-მონასტრები: რუსთა, ბულგართა, სერბთა, ბერძენთა და ქართველთაც. ქართველთა მონასტერი, წოდებული **ივერიისად** მდებარეობს არხიპელაგის პირად. მას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ სისხლით დაწერილ ისტორიაში. მან გამოზარდა შვილნი საქართველოსნი, აქ იღვწოდნენ ღირსნი მამანი ივერიისა, ექვთიმე, იოანნე და გიორგი, არსენი, ეპისკოპოსი ნინოწმინდისა *) მთარგმნელი იოანე დამასკელის წიგნებისა. **იოანე ხაზულელი,** წოდებული ოქროპირად. **იოანე რუხაის ძე, გიორგი ოლთისელი, საბა თუხარელი, ბასილი ულუმბოელი, იოანე გძელის ძე, თორნიკე ჩორდვანელი, იოანე ტარიჭისძე, ბასილი,** შვილი მეფე ბაგრატ III-სა. აბრამ ახალი, იოანე თვალური, გიორგი დახშული, ზაქარია, მხატვარი იაკობი და მრავალნი სხვანი, რომელთაც გაამდიდრეს ქართული სასულიერო ლიტერატურა, როგორც ორიგინალური ნაწერებით, ისე თარგმანებით (იხ. Памятная записка объ Иверскомъ Монастырѣ на Аѳонѣ — Холкидонскомъ полуостровѣ. ანტონ ივანეს ძე ნატროშვილისა. Тифлисъ, 1913 г.) ტყუილად კი არ ეძახდნენ ამ ალაგს **მთას წმიდას.**

*) იხ. ჩემი წერილი „სახ. გაზეთში“ № 765 1912 წ. ნინოწმინდა კათედრა მიტროპოლიტისა დაარსებული ვახტანგ გორგასლანისაგან მე-V საუკ. გაუქმებულა 1817 წელს, დაინგრა 1824 წელს. იმყოფება გარედ-კახეთში სოფელ ნინოწმინდაში ტფილიდან 45 ვერსზე. **გ. ლ.**

3.

ქართველთა ივერიის მონასტერი ათონზე აშენებულია 980 წელს, **დავით კურაპალატის** დროს, თორნიკე ჩორდვანელის მიერ. მეათე საუკუნეში, ქართველთა მონასტრები ვრცელდებოდნენ, არა მარტო საქართველოში, არამედ თვით შორეულს ქვეყნებში, მაგალ. **იერუსალიმში, ულუმბოში, სინას მთაზე, შავს მთაზე,** ანტიოქიაში და მრავალგან სხვაგან. ქართველნი, იყვნენ საოცარნი მორწმუნენი და დამცველნი მართლმადიდებელ ქრისტიანობისა... ამას მოწმობს მრავალი რიცხვი მონასტერ-ტაძარ-ეკლესიებისა, უხვად გაბნეულნი, როგორც ქართლ-კახეთში, ისე იმერეთში. ამით არ კმაყოფილდებოდნენ და თვით სხვა შორეულ ქვეყნებშიც აშენებდნენ... ამ შორეულს მონასტერთაგანია ათონის ქართველთა ივერიის მონასტერი. მისი გამამშვენიერებელი და გამფართოვებელი იყო **თორნიკე ჩორდვანელი.** თორნიკე მესხეთიდან იყო. ჩამომავლობით ეკუთვნოდა წარჩინებულ ერისთავთა გვარეულობას. იგი შესანიშნავი სარდალი იყო და მისი გმირული სახელი ჰქუხდა მთელს საქართველოში! როდესაც ხანში შევიდა თორნიკე, ათონის მთაზე გაემგზავრა. დაივიწყა აქ მან თვისი ბასრი მახვილი, ფარ-შუბ-ჩაჩქანი და დაიწყო სულ ახალი ცხოვრება. ეხლა იგი ჩაება განდეგილთა ცხოვრებაში ფერხულში. მისი სიამოვნება და შვება, შესდგებოდა მწირულს ლოცვაში, რომელსაც აღავლენდა დილით განთიადისას და მზის ჩასვლისას... მაგრამ, მალე თორნიკე ერთმა შემთხვევამ შეარყია და დიდს საგონებელში ჩააგდო. მას მოუვიდა კაცი დავით კურაპალატისაგან „დადე დროებით თავითნი და სახარება, დაანებე მწირულს ლოცვა-ვედრებას თავი და მიშველეო!“ ეს ბრძანება თორნიკეს მოუვიდა შემდეგის მიზეზით: საბერძნეთის ტახტის იმპერატორი გარდაიცვალა და დარჩა ორი შვილი და ქვრივი დედოფალი. რადგანაც ტახტის მემკვიდრეებს არ შეეძლოთ სამეფოს მართვა-გამგეობა, ამისთვის დედოფალმა თავისი თავი საბერძნეთის მმართველად გამოაცხადა. მაგრამ მისდა საუბედუროდ, სარდალმა **ბარდა სკლეროსმა** მოინდომა ტახტის ხელში ჩაგდება. შეჰყარა დიდებული და ომში გაწვრთნილ-დახელოვნებული ჯარი. აილო ქალაქი ქალაქზე, მიიმხრო თავისკენ თითქმის ნახევარი საბერძნეთი და ზაფხულს, 976 წელს, გაემართა კონსტანტინოპოლისკენ. შეშინდა დედოფალი და არ იცოდა რა ექნა. ამ დროს კარისკაცებმა მოახსენეს, რომ ჩვენს საბრძანებელში, **ათონის მთაზე** მოღვაწეობს, ერთი ბერი თორნიკე, წინედ სტრატიგი სარდალი საქართველოსიო. სთხოვე ქართველთ მეფეს, დავით კურაპალატს, მოგაშველოს მხედრობა და წინამძღოლად დანიშნოს თორნიკეო. დედოფალმა აფრინა შიკრიკი დავით მეფესთან. მან შეიწყნარა მისი თხოვნა და გაგზავნა კაცი თორნიკესთან. თორნიკე ჯერ დიდს უარზე იდგა, არ აპირობდა თავს ედვა ეს მძიმე ტვირთი. მაგრამ, როდესაც უთხრეს რომ, „შეგიძლიან ხსნა დავრდომილისა და არა გსურსო“, მაშინ დასთანხმდა...

4.

გამოემშვიდობა ათონის ძმობას, აიღო ხელში ხმალი და ფარი და ქართველ მხედრობას სათავეში ჩაუდგა. სკლეროსმა, როცა გაიგო რომ თორნიკე დაინიშნეს მოწინააღმდეგეო, დაიწყო მზადება, რადგანაც საგმირო საქმენი თორნიკესი, მას უკვე გაგონილი ჰქონდა. ქართველი ლაშქარი, თორნიკეს წინამძღოლობით, გაემართა ბარდა სკლეროსისკენ. ბრძოლა მოხდა მდინარე ჰალისის ნაპირას, მდინარის ორივე ნაპირი იყო დაფენილი ურიცხვი ბერძენ-ქართველთა ჯარით. მზის სხივებზე ბრწყინავდა იარაღი. დაიწყო დიდი ბრძოლა. ორივე მხარეს ერთნაირი რიცხვი ეხოცებოდათ, ძნელი გასაგები იყო, თუ ვის მხარეზე იყო გამარჯვება. ბოლოს, მაინც თორნიკეს მამაცობამ და ქართველი ჯარის თავგანწირულობამ თავისი გაიტანა და მტერი სასტიკად დამარცხდა...

გახარებულმა დედოფალმა უხვად დაასაჩუქრა თორნიკე და ქართველი მხედრობა არმაღანითა და სხვა და სხვა განძეულობითა... ამასთანავე მან დაუბრუნა ქართველ მეფეს, ძველად ბერძენთაგან წართმეული ადგილები საქართველოსი. ბასიანი, კლარჯეთი და სხვა. საბერძნეთის დედოფლის ნაჩუქარი, დავით კურაპალატმა სულ თორნიკეს დაუსაკუთრა; ხოლო მან, ეს აუარებელი სიმდიდრე მოახმარა ათონის ივერიის მონასტრის გაფართოვება-გამშვენიერებას...

5.

ამ ომს, და თორნიკესგან ივერიის მონასტრის აშენებას ამოწმებს ზარზმის წარწერა *) „ივანე სულაისძემ აღვაშენე ეს ეკვდერი (ზარზმისა) მაშინ, როდესაც სკლეროსი განდგა და კურატპალატ დავითმა († 1001 წ.) —ადიდენ ღმერთმან—უშველა იმპერატორთა და ჩვენ ყველანი წარგვგზავნა შველად მათდა. სკლეროსი უკუვაქციეთ. დავითმა აღაშენა ეს ტრაპეზი“ (იხ. ბატონიშვილი ვახუშტი „საქართველოს გეოგრაფია“, რედაქცია მ. გ. ჯანაშვილის, „მოგზაურის“ გამოცემა, თბილისი 1904 წ.)

აშენდა და გავრცელდა ეს მონასტერი. მალე შეიქმნა პირველ მონასტ[...]

*) ზარზმა იმყოფება მესხეთში, აშენებულ[...] მეათე საუკ. გასულს. ტაძარი მთლად შე[...]ტულია. **გ. ლ[...]**

88
ეროვნული ბიბლიოთეკა

ინჟენერი გენძეხაძე, რომელმაც მიწად-მოწყობის პარტიების საქმის წარმოებაში რევიზია უნდა მოახდინოს.

✦ [ქ]ართულ სამეურნეო ჟურნალ „მოსავალის“ რედაქციამ ლონდონის საბოტანიკო საზოგადოებისაგან **ჩინჩრის [illegible]აგვარ მცენარის თესლი** მიიღო. ეს მცენარე თურმე ძალიან ჩქარა ხეირობს და იკეთებს ლაფანს, რომლისაგანაც საქსოვ ქარხნებში ძაფს ამზადებენ. ფუთი ლაფანი 2 მ. 50 კ. ღირს, თვით მცენარე თურმე მთელს ევროპაში არსად მოდის. მისი სამშობლო ყოფილა აფრიკა, საიდანაც მისი მოყვანა უკანასკნელ წლებში შეფერხებულა. ლონდონის საბოტანიკო საზოგადოების აზრით, ამ მცენარისთვის შესაფერი ნიადაგი კავკასიაც არის. ამიტომ „მოსავალის“ რედაქცია მიღებულ თესლს სოფლის მეურნეთ უგზავნის საცდელად დასათესად.

✦ გუშინდელს ნომერში მოხსენებული გვქონდა რომ ბ-ნი შალიკაშვილი, ი. ზარდალიშვილი და ნ. ჯავახიშვილი მოსკოვს მიემგზავრებიანო. **ქართულ დრამატიულ საზ. გ. გამგეობის დადგენილებით** ბ-ნ შალიკაშვილსა და ზარდალიშვილს ეძლევათ გზის ფულად ათ-ათი თუმანი. ამას გარდა ყოველ თვიურადაც გაეგზავნებათ საჭირო სახარჯო ფული. ისინი ერთ თვეს მოსკოვში დარჩებიან, ერთ თვეს კი პეტერბურგში.

✦ **რედაქციამ მიიღო** საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ მესამე ნომერი, შემდეგის შინაარსით: აგრე მიყურე არ მოგცემ სურათი. ვანო და ზამთარი—გ. ქუჩიშვილისა. ცრუ ნასწავლი. მიტო და თამრია—ნინო გოგნიაშვილისა. რა ახირებულია (ბიკოვიდან) მანანასი. ქვა-მოსარჩლე, ბრეტონელთა ლეგენდა, იასე რაჭველისა. თინიას მეგობარი, ლექსი—გელასი. ვისი ბრალია, კომედია (გადმოკეთებული). წვრილმანი: გამოცანები, ზმა, შარადა და სხვა. ობლები, ლექსი—ი. მჭედლიშვილისა. ძლივს, სურათი სოფლის ცხოვრებიდან—გ. ქუჩიშვილისა. ვლადიმირ ალექსი-მესხიშვილის იუბილეის გამო—ეკ. გაბაშვილისა. მტკვრის სათავე, ქორონი და თამარ მეფე, მგზავრის დღიურიდან—ილ. ალხაზიშვილისა. პირველ-ყოფილი ადამიანის და ეხლანდელი ველურების ყოფა-ცხოვრება, ლუნკევიჩისა (გადმოკეთებული) იტა ნაკაშიძისა. მოხუცი მეთევზე (რუსულიდან)—ნ. ენუქიძისა. ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა (თომა ალვა ედისონი). რომანოვთა გვარეულობის სამასი წლის მეფობის იუბილეი.

✦ რედაქციამ მიიღო სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი“ (მესამე ნომერი) შემდეგის შინაარსით: **ვ. რცხილაძე**—ვენახში სახმარებელი წამლები. **გ. გულბათიშვილი**—რა ეშველება გამოფიტულ მიწას. **გ. ნახუცრიშვილი**—რა შეიძლება გაკეთდეს ამ წელს. **[illegible]. კახელაძე.**—მეურნეთა ამხანაგობა „ლილოს“ წლიური ანგარიში. [ქ]ართული სამეცნიერო-სამეურნეო [წ]რის წესდება.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში.** საზოგადოების საბჭო უკვე შეუდგა კახეთში ახლად შეძენილ ორ მამულის (იყალთოსა და მუკუზანში) დამუშავებას. მიწებს ორ-პირად ჰბარავენ მწარე ვაზისა და დამყნილ ვაზების ანერგეთა ჩასაყრელად. სამუშაოს ხელმძღვანელობს საზოგადოების ინსტრუქტორი გ. ნახუცრიშვილი.

— საზოგადოების საბჭოში აიძრა საკითხი ქართულ სამეურნეო ჟურნალის გამოცემის შესახებ.

✦ **კავკასიის ფერშალთა საზოგადოების** წევრთა წლიურმა კრებამ მოისმინა მოხსენებანი საზოგადოების ფილიალურ განყოფილებათა გახსნისა და სრულიად რუსეთის ფერშალთა მესამე კრებაში მონაწილეობის მიღების საჭიროების შესახებ. კრებამ ორივე მოხსენება მოიწონა. სხვა დადგენილებათა შორის. კრებამ შემდეგიც მიიღო: დაარსოს ფერშალთა სამოქალაქო სკოლაში ერთი სტიპენდია რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის იუბილეს აღსანიშნავად. ამავე კრებაზე საზოგადოების გამგეობის თხოვნით ექიმებმა ე. გ. ფედოროვმა და ა. მ. თეთრაძემ ლექციები წაიკითხეს დამპალ ციებისა და სალვარსანის (606) შესახებ. ლექციები შინაარსიანი გამოდგა. დამსწრეთ, აგრეთვე საზოგადოების გამგეობამ თავის მხრით, ლექტორებს მადლობა გადაუხადეს.

## სომეხთა ცხოვრება

✦ **სომეხთა ანბანის არსებობის 1500 წლის იუბილეს** მომწყობ კომიტეტის კრება 2 მარტს, საღამოს 8 საათზე მოხდება საბირჟო კომიტეტის შენობაში. კრებაზე ა. არაქელიანცი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგს თემაზე: „სომეხ მეფეთა მიწერ-მოწერა რომანოვთა გვარის მეფეებთან“.

## ქუთაისი

✦ დღეს, პარასკევს ბ. სიმონ ქვარიანი ისაუბრებს ქართული ისტორიიდან **ქალთა წრეში**, რომლის კრებაც მოხდება შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში საღამოს 6 საათზე.

✦ 26 თებერვალს ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის თაოსნობით მოხდა კრება იმ პირთა, რომელთაც განზრახვა აქვთ ქუთაისში მართონ იაფი სახალხო წარმოდგენები (ფასები წარმოდგენებზე დასაწრები იქნება 10—1 შაურამდი). გამგეობის წევრებად აირჩიეს: ქ-ნი ცაცა დარახველიძე, ბ.ბ. ივანე ელპიტაშვილი და ილია ბახტაძე, ამათ მიემატებათ კიდევ უნივერსიტეტის გამგეობის წევრი; კანდიდატებად აირჩიეს მარო ბუტულაშვილი, შალვა მიქელაძე, და გრიგოლ საყვარელიძე. რეჟისორებად დაასახელეს ბ.ბ. ვასო ბალანჩივაძე, მიხაკო ჯანოევი (ნემო) და გიორგი თუთბერიძე. ესენი რეჟისორობას გასწევენ მორიგეობით.

✦ ტფილისის სამოსამართლო პალატამ მიწერილობა გაუგზავნა ხარკოვისა და ორლოვის ციხის უფროსებს, რათა ეტაპით დაუყონებლივ გამოგზავნონ ქუთაისში **მიხაკო ახალაძე და სანდრო ჩხეტია**. ამათ ახალი ლიტერატურული საქმე აღმოაჩნდათ. ახალაძეს და ჩხეტიას გაასამართლებენ მარტის ბოლო რიცხვებში.

✦ ქუთაისის ციხიდან მანიფესტის ძალით **გაანთავისუფლეს** პორფირე ჩარკვიანი, ალექსი ტომარაძე, ალექსი [illegible]უბანაძე და ციანოსი გოშაძე.

✦ ქუთაისის საოლქო **სასამართლოს სესია** 13 მარტს ქუთაისიდან ზუგდიდში მიდის. სასამართლო 14 მარტს გაარჩევს ლეონტი თოდუას საქმეს, რომელსაც ბრალდება დარაჯებზე თავდასხმა და მათი დაჭრა.

✦ ამ დღეებში ქუთაისის სათავად-აზნაურო **ბანკმა გაყიდა** რაჭაში [illegible]მაზე დარჩენილი პართენ ყიფიანის [illegible]მული ზომით 600 დესეტინა. მამული იყიდეს ბანკიდან უცხოელებმა [illegible]00 მანეთად.

## ქართული პრესა

„მერცხალს“, რა თქმა უნდა, არ მოსწონს, როდესაც გავახსენებთ ხოლმე წარსულ არჩევნებს და იმ როლს, რომელიც სომხის ბურჟუაზიამ ტფილისის არჩევნების დროს ითამაშა. აი, ეხლაც, ძალიან გვიწყრება „მერცხალი“ და კატეგორიულად გვკითხავს:

„შეიძლება „სახალხოელნი“ გაისარჯონ და დაგვისახელონ ის შემთხვევები, როდესაც დასელები სოლოლაკელებს შეუთანხმდნენ! ამას ვენ დაბეჯითებით მოვითხოვთ მათგან, და თუ ეს არ ეწნებიათ, მაშინ იცოდნენ, რომ ერთხელ კიდევ დაიმსახურებენ ცილისმწამებლის სახელს“.

არა გვიასს-რა! თქვენი ლათაიებისა რომ ვისმეს ეშინოდეს, აქამდის მარსზე უნდა გადავსახლებულიყავით. მაგრამ, თქვენდა გულის სახეთქათ, მაინც მიწაზე ვსცხოვრობთ და ვხედავთ, რომ ქართველს სოციალ-დემოკრატებსა დ სომხის ბურჟუაზიის შორის გასაოცარი იდეალური კავშირი არსებობს. აბა, მიაქციეთ ყურადღება. ჩხეიძემ 26 თეთრი ხმა მიიღო და 18 შავი. 26 ხმიდან 17 სომხებისა იყო. ყველა სომხებმა, გარდა თუმანიშვილისა, ხმები ჩხეიძეს მისცეს. 16 სომხიდან მარტო ოთხი იყო გლეხებისა და მუშების წარმომადგენელი, თორმეტი კი ან მსხვილი მემამულე იყო, ან ისეთი დემოკრატები, რანგირიც ხატისოვი, ხუნუნცი, არშაკ ბაბოვი, ყორღანოვი და სხვანი არიან. მოდით და ამის შემდეგ დაგვაჯერეთ, რომ სომხის მემამულეს ერთბაშად პროლეტარული ფსიხოლოგია გაეღვიძა და ჩხეიძეს იმიტომ მისცა ხმა. ესეც რომ არ იყოს, ჰკითხეთ თვით იმ სომხის ბურჟუებს, რომლებმაც ხმები ჩხეიძეს მისცეს და პირდაპირ გეტყვიან, რითაც ხელმძღვანელობდნენ, როდესაც ჩხეიძეს თეთრს კენჭს აძლევდნენ. თქვენ გინდათ, რომ ხელ-მოწერილი შეთანხმება ყოფილიყო დადებული? ტყუილად გგონიათ, რომ ხელ-მოწერილ შეთანხმებას უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე იმ შეთანხმებას, რომელიც რეალურად მყარდება ცხოვრებაში!

## სასამართლო

ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის მეორე დეპარტამენტში გუშინ გაირჩა სააპელაციო საქმე გაზ. **„ზაკავკაზიეს“ ყოფილ რედაქტორის მ. მაჩაბელისა**, რომელიც პასუხისგებაში მისცა თავ. ი. ანდრონიკაშვილმა შეურაცხყოფისათვის.

საქმის გარემოება ამგვარია: 1911 წელში გაზ. „ზაკავკაზიეს“ № 3-ში დაბეჭდილი იყო „კახელის“ წერილი სათაურით: „ინჟენერი-პროვოკატორი“. ამ წერილში ავტორი, ეხებოდა ი. ანდრონიკაშვილის მოღვაწეობას კახეთის რკინის გზის საქმეში, როგორც თავად-აზნაურობის რწმუნებული და ამბობდა, რომ წინედ როდესაც ანდრონიკაშვილი კომისიებში იყო და საერთოდ საქმესთან ახლო იდგა, მაშინ არას ამბობდა, შემდეგ კი, როდესაც ამ საქმეს ჩამოშორდა სხვა-და-სხვა ადგილას ცუდად იხსენიებდა მეთაურთ და როდესაც კრიტიკის დრო იყო, სიტყვაც არ უთქვამს, არამედ ტაშსაც უკრავდა. ამ წერილში ანდრონიკაშვილმა პირადი შეურაცხყოფა დაინახა და კან. კრებ. 1040 მუხ. ძალით სამართალში მისცა გაზეთის მაშინდელი რედაქტორი მ. მაჩაბელი.

პირველად ეს საქმე ოლქის სასამართლოში გაირჩა. ოლქის სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა: სამი დღის საპყრობილე და 50 მანეთი ჯარიმა, თუ ჯარიმას არ გადაიხდიდა საპყრობილეში 15 დღე უნდა ჩამჯდარიყო.

ეს განაჩენი ბრალდებულმა პალატაში გაასაჩივრა. თავმჯდომარეობდა ბ-ნი **ჩეხოვსკი**, პალატის წევრები იყვნენ: **მოლდირიოვი** და **უთნელიშვილი**. პალატაში ბრალდებულს იცავდა ნაფ. ვექ. თანაშემწე **ჟორდანია**, რომელმაც პირველადვე აღძრა შუამდგომლობა, რომ საქმის განხილვა სხვა დროისათვის გადაედვათ, რათა ბრალდებულს მოწმეების გამოწვევისა და საბუთების წარმოდგენის შეძლება ჰქონოდა. პალატამ არ დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა და საქმის განხილვას შეუდგა.

საქმის მოხსენების შემდეგ სიტყვა მიეცა დამცველს.

ნაფ. ვექ. თან. **ჟორდანიამ** თავის სიტყვაში განიხილა წერილის შინაარსი და ის დასკვნა გამოიყვანა, რომ იგი არ ექვემდებარება კან. კრებ. 1040 მუხლს. შეიძლება დაუთანაბროთ მხოლოდ 1535 მუხლს და უკიდურეს შემთხვევაში კი 103[illegible] მუხლს.

**თავმჯდომარე** სიტყვას აწყვეტინებს და იმაზე უთითებს, რომ კერძო ბრალდებულს შეუძლიან კანონების ის მუხლი დაასახელოს, რომელიცა ჰსურსო.

**დამცველი.** ამა თუ იმ მოქმედების კვალიფიკაციის უფლება მხოლოდ სასამართლოს ეკუთვნის. ამ შემთხვევაში კი სასამართლოს არავითარი საბუთი არა აქვს 1040 მუხლით იხელმძღვანელოს, არამედ უნდა გადავიდეს 1535 მუხლზე და ბრალდებული გაამართლოს, რადგან მის მოქმედებაში ბოროტმოქმედების ნიშნები არ არის. კანონს არ შეეძლო ესურვა ყველასთვის მიენიჭებია უფლება სამართალში მიეცა თავისი ცუდად მომხსენებელი, მიუხედავად იმისა ეთანაბრება ეს ცუდი მოხსენება სიმართლეს თუ არა. ამ რიგად ყოველ არამზადას და ქურდს შეუძლიან სამართალში მისცეს რედაქტორი, რომელიც დასტამბავს გაზეთში სასამართლოს ანგარიშს, იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც სასამართლომ მას სასჯელი გადაუწყვიტა. დამცველი ბრალდებულის გამართლებას თხოულობს. თუ ეს რაიმე მიზეზის გამო შეუძლებელია, მაშინ სასჯელის შემცირებას, რათა პალატამ ამით დაანახვოს, რომ სრულებით ეს მის ბრალდებულის გულისთქმა, ამიტომ ყველაფერს შესაძლოს მის სასარგებლოდ აკეთებს და თუ მეტს არა, მხოლოდ იმიტომ, რომ ამის უფლებას კანონი ნებას არ აძლევს.

ბრალდებული **მ. მაჩაბელი** არ ეთანხმება იმ აზრს, რომ ამ შემთხვევაში სიტყვა „პროვოკაცია“ შეურაცხყოფაა ანდრონიკაშვილითვის, რომ პირდაპირ ეთქვათ „პროვოკატორი“ ხარო, ან და საბუთები არ მოეყვანათ, მაშინ შეიძლებოდა. ამ შემთხვევაში არ ლაპარაკობენ, რომ ანდრონიკაშვილი პროვოკატორია. წერილში მხოლოდ ნათქვამია, რომ ერთი და იგივე პიროვნება, როდესაც კომისიებშია და საქმეს ახლო უდგას—ერთ დებულებას იცავს, მაგრამ როდესაც სასურველი ადგილი ვერ მიიღო, და საქმეს ჩამოშორდა—ამავე დებულების წინააღმდეგ მიდის და ცუდად იხსენიებს. ამ შემთხვევაში სიტყვა „პროვოკაცია“ ახასიათებს მხოლოდ იმის ცნობილ მოქმედებებს. სიტყვა „პროვოკაცია“ წერილის სათაურია და არ შეიძლება მათი ბრალის დება, თუ წერილის შინაარს არ მივაქცევთ ყურადღებას. „პროვოკაცია“ წერილში ნახმარია ისე როგორც ყოველ-დღიურ ჩვენ ცხოვრებაში და არა ისე, როგორც პოლიტიკურად ხმარობენ, მაგალითად ოჯახებშიაც ხმარობენ, როდესაც კაცი განგებ აგულიანებს ცოლს, ქმრის წინააღმდეგ, იმას ეუბნებიან: შენ პროვოკაციას ეწევიო. ამისათვის ბრალდებული დამნაშავედ არა სცნობს თავს და გამართლებას მოითხოვს.

სამოსამართლო პალატამ, ხანგრძლივი თათბირის შემდეგ რეზოლიუცია გამოიტანა, რომელთაც ოლქის სასამართლოს განაჩენი შესცვალა და მ. მაჩაბელს გადაუწყვიტა: სამი დღით სამხედრო გაუპტვახტთან დაპატიმრება და 10 მანეთი ჯარიმა.

## სხვა და სხვა ამბავი

### „საშიში მარკები“.

მკითხველს მოეხსენება ალბად, რომ ახლად გამოცემული საფოსტო მარკები აღარ იყიდება. მისი გამოცემისათანავე ჭეშმარიტ-რუსთა პატრიოტებმა ერთი ვაი-უშველებელი ასტეხეს. ასეთივე ამბავი მომხდარა პრუსიაშიც ამ სამოც-და-ათი წლის წინად.

დღევანდელი სახის საფოსტო მარკა პირველად ინგლისში შემოიღეს 1840 წ. მანამდე ინგლისში, ისე როგორც სხვა ქვეყნებშიც, ფოსტაშივე ფულად იხდიდნენ [illegible]ნათის გასაგზავნ ფასს, რაც დიდად ართულებდა მოხელეთა მუშაობას. ინგლისურ პირველ მარკაზე დედოფლის ვიქტორიას გამოხატულება იყო. ათი წლის შემდეგ პრუსიის მთავრობამაც მოინდომა საფოსტო მარკების შემოღება. მოხელემ, რომელსაც ღენერალ-ფოშტმეისტერმა შმუკერტმა მიანდო მარკის სახის შემუშავება, გამოხატა ზედ პრუსიის მაშინდელი მეფის, ფრიდრიხ-ვილჰელმის სახე. შმუკერტი საშინლად გაბრაზდა: მან შეუწყნარებლად მიიჩნია მარკაზე მეფის სახის გამოხატულება, რადგან მეფის სურათზე ბეჭდის დაკვრა ეწინააღმდეგებოდა მის მონარქიულ გრძნობას. მაშინ მოხელემ სხვაგვარი მარკა დაამზადა, რომელზედაც გამოხატული იყო არწივი საფოსტო საყვირით კლანჭებში, ან მტრედი წერილით ნისკარტში. როდესაც ღენერალ-ფოშტმეისტერმა პირადად წარუდგინა ეს მარკები ფრიდრიხ-ვილჰელმ მე-IV-ს, მეფემ მარკები იკითხა:

— რისთვის ჩემი სახე არის ზედ გამოხატული ინგლისური მარკის მზგავსად?

შმუკერტმა მოწიწებით დაიწყო ზემოდმოყვანილ მოსაზრების დასაბუთება, მაგრამ მეფემ მწყრალად გააწყვეტინა:

— რა სისულელეა! თუ მისი უდიდებულესობა, ინგლისის დედოფალი არ არის შეურაცხყოფილი იმ გარემოებით, რომ ბეჭდის საღებავით ისვრება მისი სურათი, მაშასადამე არც ჩემი ღირსება იქნება ამით შელახული. მე მსურს, რომ ჩემი სახე იყოს გამოხატული, როგორც ფულზე, ისე საფოსტო მარკებზე.

პრუსიის საფოსტო მარკები გამოიცა 15 ნოემბერს 1850 წ. მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმ მე-IV-ის გამოხატულებით.

## ამბოხება ოსმალეთში

### დეპეშები.

27 თებერვალი.

**ბუხარესტი.** სტამბოლიდან იუწყებიან, რომ მაჰმუდ-შეფკეტ-ფაშის კაბინეთის დამხობა რამდენიმე დღის საკითხიაო. მთავრობამ აუკრძალა გაზეთებს სამინისტროს კრიზისის თაობაზე წერვა. აგრეთვე ცნობაა, რომ ასახლებენ და ატუსაღებენ საეჭვო ოფიცრებს. ამბობენ, რომ კომიტეტმა თავის კლუბებს სტამბოლში იარაღი დაურიგა. კომიტეტი ფრიად გაჭირვებულ მდგომარეობაშია, რადგანაც ყველგან შეთქმულებას ააშკარავებენ. სამხედრო პოლიციაშიაც კი აღმოაჩინეს შეთქმულება; ბევრი აგენტია დატუსაღებული. კომიტეტი მთავრობას სთხოვს ომის გაგრძელებას, რადგანაც სამხედრო ლიგის ოფიცრები იმუქრებიან, ზავის ჩამოგდების შემდეგ სტამბოლში მოიყრიან თავს ანგარიშის გასასწორებლადო. თვით კომიტეტშიაც აღმოჩნდნენ ოსმალეთის რესპუბლიკის მომხრენი, რადგანაც სირიიდან ცნობები მოდის, რომ ხანგები მოითხოვენ ავტონომიას ხალიფატის გამოცხადებით. კომიტეტს აზრადა აქვს შესცვალოს კაბინეთი და თავისი მომხრე მინისტრები იყოლიოს.

### გაზეთებიდან.

**„ახალგაზდა ოსმალების“ შიში.**

„ახალგაზდა ოსმალთა“ კომიტეტმა სტამბოლის ახლოს, სან-სტეფანოში ქურთების დიდძალ ჯარს მოუყარა თავი, რომლის მოვალეობასაც ჩათალჯიდან დაძრული, უკმაყოფილო ჯარის შეჩერება შეადგენს. თვისი პრესტიჟის აღსადგენად კომიტეტმა პრინცს საბაჰ-ედინს იუსტიციის მინისტრის თანამდებობა შესძლია, მაგრამ მან გადაჭრით განაცხადა, რომ ხაზიმ-ფაშისა და ზექი-ფაშის უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლი ნებას არ აძლევს მას „ახალგაზდა ოსმალთა“ კომიტეტს დაუახლოვდეს.

**შევქეთ-ფაშის გადადგომა?**

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ დიდი ვეზირი, მაჰმუდ-შევქეთ-ფაშა დაემორჩილა „სამხედრო ლიგის“ მოთხოვნილებას და სამსახურიდან გადადგომას აპირებსო. მის ადგილზე ასახელებენ ოსმალეთის ელჩს ვენაში, ქიამილ-ფაშას.

**პრესის წინააღმდეგ.**

„ახალგაზდა ოსმალთა“ პარტიისა და, განსაკუთრებით კი, შევქეთ-ფაშის წინააღმდეგ ამხედრებისათვის სამხედრო სასამართლომ დახურა გაზეთები: „ალემდარი“, „ტანინი“ და „ტასფირ-ეფქიარი“.

## ბალკანეთის ომი

### დეპეშები.

27 თებერვალი.

**სტამბოლი.** პროგრესის და ერთობის კომიტეტმა რამდენიმე დღე ითათბირა იმის თაობაზე, გააგრძე[ლ]ონ თუ არა ომი. კომიტეტმა ომის გაგრძელება გადასწყვიტა. თალათ-ბეი და მწერალი ბაბან-ზადე დელეგატებად მივიდნენ პორტაში და განუცხადეს კომიტეტის დადგენილება. მთავრობა დასთანხმდა კომიტეტის გადაწყვეტილებას და დაადგინა: ზავი მხოლოდ გამარჯვების შემდეგ მოითხოვოს. კონსტანციიდან 20 ბატარეა მოვიდა დიდი ზარბაზნებით, რომელიც გერმანიაში შეიძინეს. სან-სტეფანოდან ოთხი გემით გალიპოლში ჯარი გაიგზავნა.

---

რად ათონის მთაზე. წმ. გიორგი მთაწმიდელმა დარსა აქ აკადემია. მე-XII საუკუნეში, ქართველთა მეფე თავადებმა, საქართველოდან გადაასახლეს 42 კომლი ათონში, სოფელს ერისსოში, ივერიის მონასტრის სამსახურად. (იხ. Памятная записка объ Иверскомъ монастырѣ на Аѳонѣ—Халкидонскомъ полуостровѣ. Историко-археологическая справка. Изслѣдованіе А. П. Натроева. Тифлисъ. 1913 г.)

თამარ მეფის დროს, ათონში კაიგზავნა აუარებელი სიმდიდრე, მონასტრის გასამშვენიერებლად. გარდაიცვალა 121[illegible] წელს დიდებული დედოფალი, საქართველო, თვით საქართველოში მყოფ მონასტრებსაც ვეღარ უვლიდა, არამ თუ საზღვარ-გარედ. ქართველთ ივერიის მონასტერს საშინელი დრო დაუდგა. მეცამეტე საუკუნეში, ყველა ათონის მონასტრები აოხრებულ იქმნენ მეკობრეთაგან (ზღვის ავაზაკები), მაგრამ ყველაზე უფრო გაძარცვა **ივერიის მონასტერი**. 1306—1308 წლ. ივერიის მონასტერი აოხრებულ იქმნა სარაცინებისგან. ამას გარდა საშინელი ტანჯვა-წამება მიაყენეს ქართველ ბერებს და მონასტრის მეზობელ ბერძენმა ბერებმა. მეთექვსმეტე საუკუნეში, სამცხე და ათაბაგო კლარჯეთის ერისთავებმა ყვარყვარემ დ ქაიხოსრომ განაახლეს [მო]ნასტერი, შემოავლეს ახალი გალავანი, მრავალი კოშკებით და დაადგეს მთავარს ტაძარს გუმბათი....

6.

[illegible]აგრამ ათაბაგთა [illegible] შეწირულობა[illegible] ვერაფერი [illegible]შველა ივერიის მრავალ-ტანჯულს მონასტრებს. ბერძნებმა დაუწყეს საშინელი ძარცვა-გლეჯა. ყოველ კუთხით ავიწროვებდნენ ქართველ ბერებს. 1592 წელს, ქართველმა ბერებმა, კახეთის მეფე ალექსანდრე I-ლს, მიართვეს მონასტრის გასაღები, ხატი ყოვლად წმიდის ღვთის-მშობლისა და სთხოვეს წყალობა. მოწყალე გვირგვინოსანმა უბოძა თორმეტი ათასი მანეთი. 1648 წელს, რუსთა მეფემ ალექსი მიხეილის ძემაც გაიღო მოწყალება ივერიის მონასტრისთვის. მადლობელმა ბერებმა გაუგზავნეს სასწაულთ-მოქმედი ღვთის-მშობლის ხატის პირი. ეს პირი ეხლა ინახება ვალდაის ივერიის ღვთის-მშობლის მონასტერში (რუსეთში). ამ პირის დამხატველი კვირაში ორჯელ იღებდა საჭმელს, ხოლო ძმანი კვირაში ორჯელ შეასრულებდნენ ლიტურგიას მწუხრითურთ.

1680 წელს, მუხრან-ბატონმა აშოთანმა, ააშენა ახალი ეკლესია, სადაც გადაასვენებინა სასწაულთ-მოქმედი ხატი ღვთის-მშობლისა. 1791 წელს ქართლ-კახეთის მეფე ირაკლი II-ც სწირავს ფულს და გლეხებს ქალაქ გორში. მეფემ იმერეთისამ სოლომონ I-ლმა და დედოფალმა მარიამმა არ დასტოვეს უყურადღებოდ წმინდა მონასტერი. „ჩვენ მსასოებელმან სიწმიდისა შენისამან მეფე სოლომან და თანა მემცხედრემან ჩვენმან, დადიანის ასულმან, დედოფალმან მარიამ განვიახლეთ გუჯარი ესე და შემოგწირეთ მონასტრისა შენთა წმიდას **ჩვენ საქართველოსასა ფორდაიტისა ღვთის-მშობლისასა გლეხი, რიონს, სამი კომლი კაცი“** (იხ. „Памятная Записка“).

7.

სწირავდნენ აუარებელს სიმდიდრეს ქართველი მეფეები და თავად-აზნაურობა. მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ათონის მონასტერი, შევიწროვებული ბერძენთაგან ნელა-ნელა ეცემოდა, და ბოლოს იქამდის მიიყვანეს ბერძნებმა, რომ მთლად დასაკუთრეს იგი და ქართველს ბერებს გზა უჩვენეს.

1801 წელს, საქართველო შეუერთდა ერთ მორწმუნე რუსეთს, და შეჩერდა მისი დამოკიდებული არსებობაც. საქართველომ ეხლა სულ დაივიწყა ათონი, და ისიც ბერძნების სრულ კერძოდ გადიქცა.

ივერიის მონასტერში არსებობს მდიდარი წიგნთ-საცავი. სავსე ქართულ ძველის-ძველ ხელთნაწერებით... ეს წიგნთ-საცავი, ბერძნების ხელშია, ბევრი ძვირფასი ხელნაწერი მისცეს ცეცხლსა და წყალს. ესეც არ აკმარეს, და როგორც ეხლა გავიგეთ გაზეთებიდან, ის ხელთნაწერები, რომლებიც უნახავთ ბროსსეს, ცაგარელს და სხვებს. აღარ არისო...

დასასრულ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ჩვენი ქართველი მონასტრები, რომლებიც იმყოფება ათონის მთაზე*) საშინელს უბედურობაში არიან ჩავარდნილნი. ის მონასტრები, რომელნიც აშენებულია ქართველთა ღვაწლითა და შრომით, ის მონასტრები, რომლებიც გაამდიდრეს ჩვენმა დიდებულმა მეფეებმა, მთავრებმა და თავად-აზნაურებმა, ის მონასტრები, რომლებშიაც მარხიან და განისვენებენ საქართველოს ღირსნი და ქებულნი შვილნი,—იმყოფებიან ბერძენთა ხელში, და მალე სულაც წაგვერთმევა ხელიდან, თუ დროზე არ ვუშველეთ,—როგორც იერუსალიმში, სინაზე, ულუმბოში და სხვაგან. წაგვერთმევა ტაძრები, ეკლესიები და მონასტრები!.. **)

..დროა მივხედოთ!.

**გიორგი ლეონიძე**

*) ათონის მთაზე, ივერიის მონასტრის გარდა არის რამდენიმე ქართველთა მონასტრები და ეკკლესიები: იერისსოში, რომელიც ეხლა სულ გაოხრებულია, იოანე ნათლის-მცემლისა, იოანე ღვთის-მეტყველისა, წინასწარმეტყველი ილიასი, ფილადელფოსი, რომელიც განახლებულია 1492 წელს. კახეთის მეფე ლეონის და მისი შვილის ალექსანდრეს მიერ და სხ. გ. ლ.

**) არ შეგვიძლიან არ მოვახსენოთ მკითხველს ის საშინელი სიმხეცე, რომელიც ჩაიდინეს ბერძნებმა ტაძრის კედლებზე,—„ქართველნი მეფენი მაშენებელნი ივერიის მონასტრისა“ წაშალეს და დააწერეს: „ბერძენთა მეფენი მაშენებელნი ივერიის მონასტრისა“. დედოფალ ნესტანს წაუშალეს წარწერა „ქართველთა დედოფალი ნესტანი“ და დააწერეს: „საბერძნეთის დედოფალი ირინე“. ამასთანავე აქვე დაცულ ისტორიისათვის დიდმნიშვნელოვანი ხელთნაწერები იხმარეს ბოთლების საცობად და ზოგიც დაწვეს და უმრავლესი არხიპელაგის ტალღებს მისცეს!.. გ. ლ.

**ათინა.** იანინიდან ოფიციალურად იტყობინებიან, რომ ლასკოვიცის ალების შემდეგ ბერძნებმა უბრძოლველად დაიჭირეს კონიცა.

**ბელგრადი.** მოლაპარაკების განახლების თაობაზე „სამოუპრავა" სწერს, რომ მოკავშირენი მაშინ დასთანხმდებიან მოლაპარაკების განახლებას, თუ ოსმალები მათ პირობებს შეიწყნარებენ.

**სტამბოლი.** ბულაირთან წვრილმანი შეტაკება ოსმალეთის გემებთან ფიცხელ ბრძოლად გადაიქცა.

### გაზეთებიდან.

**ზავის მოლოდინში**

გაზ. „ცეიტს" ატყობინებენ სოფიიდან: დიდი სახელ. მწიფოების წინადადებაზე მოკავშირეებმა უპასუხეს, რომ იგინი არაოდეს არ დაექვემდებარებიან საბოლოოდ ევროპის გადაწყვეტილებას სამშვიდო მოლაპარაკების საქმეში. მოკავშირეებმა შეიმუშავეს თვისი მოთხოვნილების მინიმალური პირობები და თანხმა არიან ევროპის შუამდგომლობისა მხოლოდ კონტრიბუციისა და ახალი საზღვრების დამკვიდრების საკითხში. იგინი წინააღმდეგი არიან აგრეთვე, რომ სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებისათანავე დროებითი ზავი იქნეს შეკრული, რადგან შიშობენ, ოსმალეთი ჩვეულებრივ საქმის გასაჭიანურებლად გამოიყენებენ დროებით ზავსო.

**ოსმალეთი ჯიუტობს.**

რადგან „ერთობისა და პროგრესის" პარტიამ გადასწყვიტა ომის განგრძობა, მთავრობამ განკარგულება გასცა, რათა მოხელეებს დაუქირონ იანვრის ჯამაგირი, რომელიც სამხედრო საჭიროებას მოხმარდება. მთავრობის წრეებში ამბობენ, რომ ყოველი ცდა მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად უნაყოფოდ უნდა ჩაითვალოს, ოსმალეთი, რაც უნდა მოხდეს, მაინც განაგრძობს ომსო.

**ბერძნები ეპირში.**

რუსეთის დიპლომატიურ წრეებში ამბობენ, რომ ბერძნებისაგან იანინის დაპყრობა უექველ გავლენას იქონიებს სამშვიდობო მოლაპარაკებაზე. რუსეთის დიპლომატიის აზრით, ვერც ერთი სახელმწიფო ვერ აღუდგება წინ საბერძნეთის საზღვრებში ქ. იანინის შესვლას.

## ბალკანეთი და ევროპა

### დეპეშები.

27 თებერვალი.

**ვენა.** „ფრენდემბლატი" ავსტრია-ჰუნგრეთის და რუსეთის საზღვრებზე ჯარის დათხოვნის თაობაზე სწერს: არა მარტო ავსტრია-ჰუნგრეთში და რუსეთში, არამედ მთელ ევროპაში ამ ამბავს ისე განმარტავენ, როგორც პოლიტიკურ მდგომარეობის შესუმბუქებას. ამ დღეს უნდა მოვიგონოთ ორივე მონარქი, რომელთაც პირველებმა განიზრახეს ამ აზრის განხორციელება. ამ მოვლენას მარტო დინასტიური ხასიათი კი არა, პოლიტიკურიც აქვს. ის რეაქცია, რომელიც ბალკანეთის ომმა დაჰბადა რუსეთისა და ავსტრია-ჰუნგრეთის ურთიერთობაში, არა ჰნიშნავს ერთიერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერესების შეჯახებას. ავსტრია-ჰუნგრეთის პოლიტიკა დაპყრობისაკენ არ მიილტვის. კრიზისი ჯერ თავიდან არ აგვიცილებია, მაგრამ იმედი გვაქვს მისი აცილების, რადგანაც ამ გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოსასვლელად დიდი ხაბიჯი დღეს გადავდგით.

**ბერლინი.** პრესა სიხარულით ეგებება თავიანთ ამბავს, რადგანაც იგი საშუალებას აძლევს ევროპას თავისუფლად ამოისუნთქოს.

**სოფია.** „მიხეი" სწერს, რომ მოკავშირენი თ. ნახმანი არიან შუამავლობისა ლონდონში შემუშავებულ პირობების მიხედვით, მხოლოდ თავისიც კონტრიბუციის პირობას მიუმატებენ.

**ბუქარესტი.** გაზეთების ცნობათა საწინააღმდეგოდ თავ. გიკის გამგზავრების თაობაზე პეტერბურგში, საჭიროა აღინიშნოს, რომ რუმინიის მთავრობას არაფერი დაუვალებია გიკისთვის. იგი დასასვენებლად მიდის პეტერბურგში და ისარგებლებს შემთხვევით პეტერბურგის დიპლომატებთან გასაცნობლად.

**ბელგრადი.** მოკავშირე სახელმწიფონი 27 თებერვალს გადასცემენ დიდ სახელმწიფოებს პასუხს შუამავლობის საკითხის თაობაზე. ამასთანავე მოლაპარაკების განახლებამდე პირობად დაუდებენ ადრიანოპოლის, სკუტარის და ეგეის კუნძულთა დათმობას.

**ბერლინი.** „ნორდ-დეიტშე-ალგემაინე-ცაიტუნგი" ევროპის პოლიტიკურ მდგომარეობაზე სწერს, რომ დიდ სახელმწიფოთა ცდამ ევროპის მშვიდობიანობის დასაცავად, ნაყოფი გამოიღო; ეს არის რუსეთის და ავსტრია-ჰუნგრეთის ჯარის დათხოვნა. ხმები, ვითომც გერმანიის ჯარის გაძლიერება შედეგი იყოს მეზობელ სახელმწიფოსთან ურთიერთობის გამწვავებისა, სიმართლეს მოკლებულია. ახალი სამხედრო კანონი, რომელსაც მიზნად აქვს გერმანიის უზრუნველყოფა, სრულიადაც არ არის საფრანგეთისთვის ან რაიმე გამოწვევა, ან მუქარა. სანამ ჯერ-ჯერობით ევროპის მშვიდობიანობა უზრუნველყოფილი არ არის, გერმანია უნდა სცდილობდეს საზღვრების დაცვას და მხედველობაში იქონიოს, ომის აფეთქება შესაძლებელია.

**ვენა.** „მილიტერიშე-რუნდშაუს" იუწყება, რომ სამხედრო მანისტრმა განკარგულება მოახდინა დაითხოვოს ყველა სათადარიგო ჯარის-კაცი და 1—14 კორპუსებში მყოფნი, გარდა მხედრობისა.

**ლონდონი.** რეიტერის ცნობით დიდმა სახელმწიფოებმა გარკვევით და ნათლად აგრძნობინეს მოკავშირეებს, რომ სკუტარის ბედი, მიუხედავად მისი დამხობისა, დიდ სახელმწიფოთა ხელშია.

### გაზეთებიდან

**დიდი-ვეზირის შუამდგომლობა.**

დიდმა ვეზირმა, მაჰმუდ-შევქეთფაშამ ინახულა ინგლისისა და რუსეთის ელჩები და სთხოვა მათ: დაიყოლიეთ ბულგარეთი, რათა მან ნება დართოს ადრიანოპოლის მეციხოვნე ჯარს სამხედრო წესითა და იარაღით გამოსვლისათ.

**ელჩთა თათბირი**

ელჩთა ლონდონის თათბირმა დაადგინა: ეთხოვოს საბერძნეთის მთავრობას, რათა მან ალყა მოხსნას ალბანეთის სანაპიროებს იქ სურსათის შესატანად.

**რუმინიის სამხედრო სამზადისი.**

რუმინიის მთავრობამ ჰეიდელბერგის ქარხნებს საველე არტილერიის დიდძალი მასალა და მოწყობილობა შეუკვეთა.

**ევროპის კონფერენცია.**

ავსტრიის დიპლომატია დიდად უკმაყოფილოა ალბანეთის საკითხის გაჭიანურებით. სარწმუნო ადგილებიდან იტყობინებიან, რომ რადგან ავსტრია ძლიერ ზარალობს ახლანდელი გარემოებით, ამიტომ მან აღძრა საკითხი ევროპის სახელმწიფოთა სრული კონფერენციის მოსაწვევად, რომელიც გადასწყვეტს ომისაგან გამოწვეულს ყოველგვარ საკითხს.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

27 თებერვალი.

**საზღვარ-გარედ**

**ნიუ-იორკი.** გაზეთების ცნობით, გვატამალაში მომხდარმა მიწის-ძვრამ დააქცია ქალაქი გვაიმკვილაპა. სკოლაში 100 ბავშვი დაიღუპა.

**ტოკიო** მინისტრ - პრეზიდენტის განმარტებამ ოპოზიცია არ დააკმაყოფილა. გადასწყვიტეს, მეორედ შეიტანონ შეკითხვა და თუ კვლავ უნაყოფოდ ჩაივლის, კაბინეტს უნდობლობა გამოუცხადონ.

**რუსეთი.**

**პეტერბურგი.** ანტიოქიის პატრიარქი სახელმწიფო სათათბიროს სხდომას დაესწრო.

**მინსკი.** სიტნიცის მამულში პოლონელთა საიდუმლო სკოლა აღმოაჩინეს. მასწავლებელი მიიმალა. სახლის პატრონი და მოსწავლეთა მშობლები სამართალში მისცეს.

**პეტერბურგი.** იუსტიციის სამინისტრო იუწყება, რომ ხმები, ვითომც ბეილისის საქმე მოსპობილიყოს, სიმართლეს მოკლებულია. გამოძიება ამ საქმისა ჯერ არ დასრულებულა.

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** შაბათს, 23 თებერვალს, ადგილობრივ დრამატიული დასის რეჟისორის მ. ქორელის საბენეფისოდ წარმოდგენილ იქმნა გალმას 5 მოქმედებიანი ტრაგედია „რავენელი ფალავანი", რომელიც ამოღებულია ძველ რომაელთა ცხოვრებიდან. პიესის დედა-აზრი შეიძლება გამოვთქვათ მოკლედ აკაკის სიტყვებით: „თვის ტომის დამწუნებელსა ჭირი მიუვა კარზედა". წარმოდგენამ საზოგადოდ მწყობრად ჩაიარა. ჩინებული იყვნენ განსაკუთრებით ქ-ნი ნ. ჩხეიძე (ტუსნელდა) და ა. იმედაშვილი (კეისარი კაიუს კალიგულა). თვით მობენეფისეს სულ მცირე, სრულიად უმნიშვნელო როლი ჰქონდა (კასიოს, პრეტარიანცების პრეფექტი). ქუთაისის მადლიერმა საზოგადოებამ ღირსეულად დააფასა თეატრის თავდადებული მუშაკი, რომელიც სამი წლის განმავლობაში დაუღალავად, საკვირველის ენერგიით ეწევა ჭაპანწყვეტას. წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო: თეატრი სავსე იყო. მობენეფისეს რამდენიმე საჩუქარი მიართვეს და გულწრფელი განუწყვეტელი ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

— კვირას, 24 თებერვალს, ზამთრის სეზონი დასრულდა სენკევიჩის ცნობილი პიესის „ვიდრე ხვალ, უფალო"-ს წარმოდგენით. წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო. წარმოდგენა საზოგადოდ კარგად იყო შესრულებული. ქ-ნი ნ. ჩხეიძე, როგორც ყოველთვის, მშვენიერი იყო ეხლაც ევნიკას როლში; მას ღირსეულად უმშვენებდნენ გვერდს: ა. იმედაშვილი (მარკუს), მ. მდივანი (ლიგია), არადელი-იშხნელი (ნერონ), ვ. არაბიძე (ფაბიუს) და ნ. გვარაძე (ხილონ). უკანასკნელის მიერ დახატული ხილონი იმდენად მშვენიერი იყო, რომ უკეთესს, მგონი, ვერც კი ისურვებთ.

**ხონი.** 5 მარტს დ. ხონში ქუთაისის დასის მსახიობების ა. ჩხეიძისა, ო. ლოლუბერიძის, ბ. ნ. გვარაძის, კ. მაჭარიშვილის და შ. ხონელის მონაწილეობით გაიმართება წარმოდგენა. წარმოადგენენ „იუდას ამბორს" და „სხვის ლოგინში". ამავე პიესის წარმოდგენას ფიქრობენ სამტრედიასა და ლანჩხუთშიც.

**ალაგირი** (თერგის ოლქი). 23 თებერვალს ქართული სკოლის დარბაზში სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იყო „და-ძმა" დრამ. 5 მოქ. ვ. გუნიასი. წარმოდგენა გამართულ იყო ლადო მესხიშვილის პატივის საცემათ და სუფთა შემოსავალი გადადებულია მესხიშვილის სახსოვრად დაარსებულ ფონდისთვის. თუმცა 10 თებერვალს იყო დანიშნული ეს წარმოდგენა, მაგრამ სხვადასხვა დაბრკოლებამ შეუშალა ხელი და გადადებულ იქმნა ამ დღისთვის. სამწუხაროდ ამ წარმოდგენას ხალხი ცოტა დაესწრო, რადგან ცუდი ამინდი იყო და ტალახი. ბ-ნმა მასწავლებლებმა გ. უტურაშვილმა და ნ. ხატისკაცმა, გააცნეს მოღვაწეობა მესხიშვილისა და წაკითხულ იქმნა ბიოგრაფია მისი.

პეტრე მეტრეველი.

**ახალციხე.** 17 თებერვალს, რაბათის დედათა სასწავლებლის დარბაზში, იუბილიარ ვლ. ალექსი-მესხიშვილის პატივსაცემლად გაიმართა „საბავშო საღამო". მასწავლებლების ჯუღელისა და იექსანოვის ხელმძღვანელობით. სცენაზე ჩამოკიდულ იყო მორთულ ჩარჩოთი იუბილიარის ვლ. ალ.-მესხიშვილის სურათი.

საღამო შესდგებოდა სამ-განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში გალობის შემდეგ წაიკითხეს ბავშვებიდგან იუბილიარის ბიოგრაფია. მეორე განყოფილებაში ითამაშეს საყმაწვილო პიესა და ბოლოს წაიკითხეს რუსულსა და ქართულ ენაზე ლექსები. მოწვეული საზოგადოება კმაყოფილი დარჩა ბავშვების მიერ ცოცხლად წაკითხული ლექსებისა და პიესის თამაშისაგან.

შეუძლებელი ნაკლიც არ აღვნიშნოთ აქვე: საჭირო იყო ბიოგრაფია თვით მასწავლებელთაგანს წაეკითხა და არა ბავშთაგანს, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა.

მესხი ქ. გვარამაძე

რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.

## მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** სამგზ.-საბარგო № 8, საღ. 6 ს. 26 წ. ჩქარი № 2, დილ. 10 ს. 14 წ. საფოსტო № 4, ღამის 12 ს. 36 წ. სამგზავ. № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. ნარევი № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

**ბათომისაკენ:** სახ. № № 107, დილ. 4 ს 38 წ. სახ. № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. საფ. № 3, დილ. 9 ს. 50 წ. სახ. № 4, საღ. 9 ს 4 წ. სახ. № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ:** ნარევ. № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ:** სახ.-საბ. № 8;7, შუადღ 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ:** საფ. № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

**ყარსისკენ:** სახ.-საბ. № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ:** სახ. № 9/10 6, ნაშ. [illegible] ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან.** ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. სახ. № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. საფ. № 3, დილ. 9 ს. ჩქარ. № 1, საღ. 9 ს. 10 წ. სახ.-საბ. № 7, დილ 11 ს. 55 წ.

**ბათომიდან:** სახ. № 12, დილ. 8 ს. [illegible] წ. საფ. № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. სახ. № 6, საღ. 5 ს. 56 წ. ნარევ. № 106, დილ. 5 ს. 1[illegible] წ.

**ერევნიდან:** სახ.-საბ. № 83;7, საღ. 5 ს. 28 წ.

**ყარსიდან:** სახ.-საბ. № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან:** სახ. № 43, დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან:** სახალ. № 9/10 დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვიდან სურამში** სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. სახ.-საბ № 6 დილ. 5 ს. 30 წ. სახ.-საბ. № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. სახ.-საბ. № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. სახ.-საბ. № 69, საღ. 7 ს. 53 წ. სახ.-საბ. № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში:** სა-საბარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. სახ.-საბ. № 62, დილ. 4 ს. 38 წ. სახ.-საბ. № 64, დილ 7 ს. 8 წ. სახ.-საბ. № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. სახ.-საბ., № 68, საღ. 6 ს. 38 წ. სახ.-საბ. № 70, საღ 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში:** სახ. № 77 დილ. 5 ს. 28 წ. სახ. № 79, დილ. 10 ს. 14 წ სახ. [illegible] 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. სახ. № 83, [illegible] სახ. № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს:** სახ. № 76, დილ. 6 ს. 25 წ. სახ. № 78, დილ. 11 ს. 2 წ. სახალ. № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. სახ. № 8[illegible] საღ. 6 ს. 55 წ. სახ. № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

**ქუთაისიდან შორაპანს** სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

**შორაპნიდან ქუთაისს** სახ. № 27/28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. ქუთაისს:** სახ. № 26, დილ. 6 ს. 6 წ. სახ. № 4 II, დილ. 11 ს. 9 წ. სახ. № 6, საღ. 5 ს. [illegible] წ. სახ. № 8 II, საღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში;** სახ. № 3 II შუადღ. 1 ს. 57 წ. სახ. № 7 II. საღ 7 ს. 24 წ. სახ. № 5 II, საღ. 7 ს. 59 წ. სახ. № 25 [illegible] ნაშ. [illegible] ს. 18 წ.

**ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში:** სახ. № 18, ღამ. [illegible] ს. 13 ს. სახ. № 14, დილ. 5 ს. 43 წ. საფ. № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს:** სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. სახ. № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. სახალხ. № 17, ნაშ. [illegible] ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს:** სახ № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში.** სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. სახ № 14, დილ. 5 ს. 43 წ. სახ. № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომიდან ნაანებს:** სახ. № 16, ხაშუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს.** სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. სახ. № 65, საღ. 9 ს. 14 წ. სახ. № 86, დილ 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში:** სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. სახ. № 55, დილ. 5 ს. 58 წ. სახ. № 76, ღამ 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკს, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 1 და II კლასი და მესამე კლასია ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/ კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლ. მატარებლის ნომრები 3 და 4.

### ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ალაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხრფუზისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**[illegible]უკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**[illegible]იდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალოდ ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

### უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედევანიშვილი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71. |

**ექიმ ნავასარდიანის**

**პირველი კერძო სამკურნალო**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

**დილით:**

„606" და „914"

11—12 ს. შეშხაპურება

კონსულტატიურად.

**ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ზ. გ. აგახაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მუღდინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელ.ისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგ, კანისა, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** [illegible]—2 ს. საზებიო და ქალების ავადმ.

**ბ ა კ ა მ ო ვ ი ჩ ი**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6— საათ.

**ექიმი ქალი გ. ლ. რენგერ-არეშევისა** 6—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა [illegible] ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1004 დოქტორი **ბ. ა. ნ ნავასარდიანი.**

**ახლად გაიხსნა**

**სამშობიარო თავშესაფარი**

**ე. ლ. არშანინისა ბ/ს. ს. ხატიევისა**

**ფეხმძიმეთა და მშობიარეთა მიღება** სწარმოებს ყოველ-დღე. არის საზოგადო და ცალკე ოთახებიც. მასსაჟი და ყვავილის აცრა, საზებიო საქმე და დედათა სქესის ავადმყოფთა მიღება და აგრეთვე ძიძათა შემოწმება ყოველ-დღე სწარმოებს დილის 11—12 საათამდე. თავშესაფარის გამგე

**ექიმი ა. გ. ავეტისოვი.**

**ვაგზლის ქუჩა № 12, ბინა 3.** 1018

**ფეხსაცმელები**

**თომა დ. ჯანყარაშვილი**

**მაღაზია-სახელოსნოში.**

მუხრანის ქ. № 2.



ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ.

მეხანიკური ნაწარმოები. 30

**კვეესის ნაცადი**

**ბოსტნეულისა და ყვავილების თესლეულობა**





1913 წლის დასათესად.

პრეისკურანტი უფასოდ ეგზავნება.

**კვეეს-ისა და ამხანაგობ.**

**თესლეულობის საწყობი:**

**ტფილისი,** მიხეილის ქუჩა, სემენოვის ქუჩის კუთხე, № 31.

1/5 080

**ქ. შ. წერა-კითხ. გამ საზოგ. წიგნის მაღაზიაში**

**ისყიდება საყმაწვილო წიგნები:**

ოქროს ფული. ლ. ფაღავას გადმოკეთებული ქ. 1911 წ. ფ. 2 კ.

მოთხრობათა კრებული. ივ. ყიფიანის გადმოკეთებული ქ. 1911 წ. 2 „

იოანე სარდალი. ნათ. ი. ყიფიანისაგან ქ. 1912 წ. 3 „

მირიელ ეპისკ. ვიქ. ჰიუგოდან. ნათ. ჩერქეზიშვილისა. 2 „

სამი მოთხ.: ბიჩერ-სტოუ, გულკეთილი ებრაელი, ავია თუ კარგი. ნათ. დ. ნ—ვისაგან ქ. 1912 წ. 3 „

სინიდისის ხმა. ვ. ნ—ძისაგან გადმოკეთებ. ქ. 1911 წ. 2 „

სოფელი კურთხეულა. გადმოთარგმნილი არ. დადიანის ქ. 1911 წ. 3 „

მოგზაური. გამოკ. ლ. ელიავაშვილისაგან ქ. 1911 წ. 2

ცხოვრების გზა. ალ. ჯირაქამის თარგ. ქ. 1911 წ. 2

**ახალი წიგნები და სურათები:**

სიტყვანი დავით ეპისკოპოსისა. ტფ. 1912 წ. ფ. 10 კ.

Статьи и замѣтки по грузинскому церковному вопросу. პროფ. ა. ა. ცაგარელისა, პეტ. 1912 წ. ფ. 1 მან.

ვლ. მესხიშვილის სურათი დიდი 50 „

ქართ. არტისტ. ჯგუფის სურათი დიდი 50 „

**ადრესი:** Тифлисъ О-ва распр. грамотности сред. гр. нас. 1141

**მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის ყოველ-დღიურ გაზეთზე**

**იმერეთი**

წელიწადი მეორე

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., ერთი თვით [illegible] აბაზი და ცალკე ნომერი 1 შაური. საზღვარ-გარედ გაზეთი წლიურად ღირს 14 მ., ნახევარი წლით 8 მ. და თვიურად 6 აბაზი. **სამგლოვიარო** განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის 3 მ.; **განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტით პწკარი ღირს 3 შაური, მეოთხეზე ორ შაური, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე ცნობები ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო პწკარი თითო აბაზი. შრომის მაძებართა განცხადება ნახევარ ფასად. წლიურ ხელის მომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირად გადაიხადონ: ხელის-მოწერის დროს 3 მ., პირველ მაისს 2 მ. და პირველ ენკენისთვესაც 2 მ. მოსწავლეებს, სათვისტომოებსა და სოფლის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოებს გაზეთი წლიურად ეთმობათ 4 მ., ხოლო ნოქრებსა და სოფლის მასწავლებლებს 5 მ. თვიურად გაზეთი ამავე პირთათვის ღირს 3 აბაზი. მისამართის გამოცვლა ღირს ათი შაური. მისამართის გამოცვლის დროს უნდა ნაჩვენები იყოს სრულად ის მისამართი, რომლითაც ღებულობდა გაზეთს და აგრეთვე სწორედ ახალი მისამართიც. სხვანაირად მისამართის გამოცვლა არ შეიძლება.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოდ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ", Василію Челидзе. 1074

**მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი, ქვირითის** (კეტოვ.) **ხიზილალა,**

**თევზის მრეწველნი ძმ. მეგველოვები.**

**გამოსული ქერჩის სელიოტკები, და ყოველგვარი კონსერვები.**

მოგვცეს მოგვდ ... ძმ. მეგველოვები ... ბომხრიშული დახმ. ზურგილე

კუტაისის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტელეფონი № 713.

1131

**ბაზი ხიზილალა**

**განცხადებანი**

**თმის სალებავი**

**კაკლის ექსტრაქტისა.**

თმას სწრაფად და საფუძვლიანად ჰღებავს სურვილისამებრ ნაზ-ქერა ფრად, თუ კუპრისფრად. თავდებნი ვართ, რომ უვნებელია.

**პარფ. თევდ. მიულბახი**

№ 4711. მის იმპ. უდ. სრულ. რუს. იმპ. სასახლის იჯარადარი ლონდონი და რ. ი გ ა.



დაარს. 1792 წ. 1020